THE EVENTS OF MARCH 18-20, 1921 IN BATUMI

1921 წლის 18-20 მარტის მოვლენები ბათუმში

Otar Gogolishvili
Professor
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
ORCID: 0000-0002-5196-4155
593 61 78 95; otargogolishvili@gmail.com;

Abstract

The historical events, that took place in March 1921 in Batumi, preserved this region to Georgia. If not those great self-secrifysing battles, where the local Muslims and the Guardsmen took part, under the famous, chief of the Cavalry, Giorgi Mazniashvili`s Command, we would have had quite different circumstances at present.

102 years have passed since the battles for liberation of the city. According to the agreement achieved between the head of government of the democratic republic of Georgia Noe Zhordania and chairmen of revolutionary committee Sergo Kavtaradze, on March 17, 1921, general Giorgi Mazniashvili (1873-1937) gathered the scattered soldiers and officers of the Georgian army and, together with local volunteers, created military subdivision, which, after several hours of fighting, liberated Batumi from foreign conquerors.

The Georgian government, which was in international isolation, showed weakness, left Tbilisi almost without a fight, retreated to Batumi, and arranged the last line of defense along the river Rioni.

The government of Georgia, being in a helpless situation, made another fatal mistake when accepted the proposal of the government of Turkey to protect Batumi from the Bolshevik invasion with the help of Turkish troops. Soon more than 3,500 soldiers were gathered in the vicinities of Batumi under the command of Colonel Kiazim Bey.

There were about 3,000 Georgian soldiers in Batumi at that time, but the general confusion was spread over them as well. In such a situation, the Turks became more active. On March 16, their patrol appeared in the streets of Batumi. They gradually occupied the city post-telegraph, the militia, and the radio stations. They also began to seize the forts of Batumi. That same evening, Kiyazim Bay proclaimed himself as General Governor of the Batumi district and promulgated Order №1, by which the region should have joined Turkey.

It became clear to the government of Georgia that the territorial integrity of the country was in danger. That is why Noe Zhordania chose to agree with the Bolsheviks to accelerate the moving of their troops to Batumi, in order to prevent the loss of Adjara. For this purpose, he sent his deputy Grigol Lortkipanidze from Batumi to Kutaisi to negotiate with the Bolshevik Revkom of Georgia and sent empty echelons to Sajavakho. The Bolsheviks, led by Sergo Kavtaradze, were also

released from Batumi prison in order to declare themselves Soviet government and prevent Kiazim Bey's adventure.

Key words: Georgian guard, governor of Batumi district, Bolsheviks, furious fights, disruption of the adventure.

ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
ბათუმი, საქართველო
ORCID: 0000-0002-5196-4155
593 61 78 95; otargogolishvili@gmail.com;

აბსტრაქტი

1921 წლის მარტში ბათუმში განვითარებულმა მოვლენებმა ეს მხარე შეუნარჩუნა საქართველოს. რომ არა ის დიდი ბრძოლები, რომელიც ამ ქალაქში მოხდა და რომ არა ქართველი გვარდიელებისა და ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის თავგანწირული ბრძოლა სახელოვანი მედართმთავრის გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით დღეს სულ სხვა მდგომარეობაში აღვმოჩნდებოდით. დიახ, 100 წელი გავიდა ქალაქის გათავისუფლებისათვის გამართული ბრძოლებიდან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს ნოე ჟორდანიას და რევკომის თავმჯდომარეს სერგო ქავთარაძეს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, 1921 წლის 17 მარტიდან გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა (1873-1937 წ.წ.) საქართველოს არმიის გაფანტულ ჯარისკაცებს და ოფიცრებს კვლავ მოუყარა თავი და მათგან, ადგილობრვ მოხალისეებთან ერთად, შექმნა სამხედრო ქვედანაყოფი, რომელმაც რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ, ბათუმი გაათავისუფლა უცხოელი დამპყრობლებისგან.

საერთაშორსო იზოლაციაში მოქცეულმა საქართველოს მთავრობამ უნიათობა გამოიჩინა, თითქმის უბრძოლველად დატოვა თბილისი, უკან დაიხია ბათუმისაკენ და ბოლო თავდაცვითი ხაზი მდ. რიონზე მოაწყო.

უმწეო მდგომარეობაში მყოფმა საქართველოს მთავრობამ დაუშვა სხვა საბედისწერო შეცდომაც, როდესაც ენდო ანგორის (თურქეთი) მთავრობის წინადადებას ბოლშევიკების შემოსევისაგან თურქეთის ჯარების დახმარებით ბათუმის ერთობლივად დაცვის თაობაზე. მალე ბათუმის მიდამოებში თავი მოიყარა 3500-ზე მეტმა ასკერმა პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის მეთაურობით.

ამ დროს ბათუმში 3 ათასამდე საქართველოს ჯარისკაცი იყო, თუმცა საერთო დაბნეულობა მათაც გადაედო. ასეთ ვითარებაში გააქტიურდნენ თურქები. 16 მარტს ბათუმის ქუჩებში გამოჩნდა მათი პატრული. მათ თანდათან დაიკავეს ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფი, მილიციის შენობა, ყაზარმები, რადიოსადგური. დაიწყეს აგრეთვე, ბათუმის სიმაგრეების (ფორტების) დაკავება. იმავე საღამოს ქიაზიმ ბეიმ თავი გამოაცხადა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად და გამოაქვეყნა ბრძანება #1, რომლითაც ეს მხარე თურქეთს უნდა მიერთებოდა.

საქართველოს მთავრობისათვის აშკარა გახდა, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლანობას საფრთხე შეექმნა. ამიტომ ნოე ჟორდანიამ არჩია ბოლშევიკებთან შეთანხმება მათი ჯარების ბათუმში გადმოყვანის დასაჩქარებლად, რათა არ დაეშვა აჭარის დაკარგვა. ამ მიზნით მან ბათუმიდან თავისი მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე მოავლინა ქუთაისში საქართველოს ბოლშევიკურ რევკომთან მოსალაპარაკებლად, ხოლო საჯავახოში ცარიელი ეშელონები გაგზავნა. ბათუმის საპყრობილედან ბოლშევიკებიც გაათავისუფლა სერგო ქავთარაძის ხელმძღვანელობით, რათა მათ გამოეცხადებიათ საბჭოთა ხელისუფლება და აღეკვეთათ ქიაზიმ ბეის ავანტიურა.

საკვანძო სიტყვები: ქართველი გვარდიელები, ბათუმის ოლქის გუბერ-ნატორი, ბოლშევიკები, სამხედრო ფორტები, გააფრთრებული ბრძოლები, ავანტიურის ჩაშლა

შესავალი

მეოცე საუკუნის ბათუმის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფურცელია 1921 წლის მარტში გამართული ბრძოლები.მან გადაწყვიტა ვის დარჩენოდა ჩვენი რეგიონი, საქართველოს თუთურქეთს. იმ დროს აქ განვითარდა რთული მოვლენები, ბატალიები. მათი ცოდნა მომავალი თაობის ვალია.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, როცა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი, მათ შორის აჭარა, რუსეთთან ერთად ერგო საქარ-თველოს, ჩვენი რეგიონი თანდათან უბრუნდებოდა თავის ეროვნულ გარემოს. პირვე-ლი მსოფლიო ომის (1914-1918წწ.) ბოლოს, 1918 წ. აპრილში ბათუმი დაიკავა ოსმალე-თის ჯარმა. 1918 წ. 26 მაისს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა მთელი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო თურქებს ჰქონდათ და-კავებული. იმავე წლის შემოდგომაზე, პირველ მსოფლიო ომში გერ-მანიისა და თურქეთის დამარცხებისშემდეგ, ბათუმის ოლქი გადავიდა ინგლისელთა ხელში. 1919 წელს, საქართველოსპატრიოტები ცდილობდნენ ბათუმი დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში, რადგანაქ იყვნენ სხვაქვეყნებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალები. ასეთ პირობებში იმარჯვა და უპირატესობა მოიპოვა ქართულმა ძალამ მემედაბაშიძის მეთაურობით. 1920 წლის ზაფხულში აჭარა დაუბრუნდა საქართველოს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს იმ დროს საბჭოთა რუსეთისა და ქე-მალისტური თურქე-თის ურთიერთობის შესახებ. ეს ორი ქვეყანა დაპირისპირებული იყვნენ ანტანტასთან (ინგლის-საფრანგეთის ბლოკთან). ამიტომ მოხდა რუსეთისა და თურქეთის დაახლოება.

1920 წ. დეკემბერში, როცა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა როგორც აჭარა,ისე მის სამხრეთ მდებარე ართვინისადაარდაგ ანისტერიტორიები, თურქეთისარმიისგენერალმაქიაზიმბეიმპრეტენზიაგ ამოთქვაჭარაზე, მისი ხელმძღვანელობით თურქებმა კიდევაც მოახდინეს ბათუმის ოკუპაცია 1921 წლის 15-16 მარტისათვის. თურქების ბათუმიდან განდევნა შეძლო მხოლოდ უდიდესმა ქართგველმა გენერალმა, ქარტული საბრძოლო ხელოვნების ისტორიაში ურწყინვალესმა წარმომადგენელმა გიორგი მაზნიაშვილმა.

გ. მაზნიაშვილის მეთაურობით შემუშავდა საბრძოლო გეგმა.ქალაქის მიდამოები ორ უბნად გაიყო.ერთს გენერალი ვარდენ წულუკიძე მეთაურობდა, კერძოდ, ბათუმის ნაწილს, ბარცხანისა და კახაბრის ფორტებს. ხოლო ქალაქის მეორე ნაწილს, ასევე სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებს კი გენერალი დავით ართმელაძე ჩაუყენეს სათავეში.

იმავე დღეს, 18 მარტს, დღის მეორე ნახევარში ბათუმში საომარი მდგომარეობა უფრო დაიძაბა. სწორედ იმ დროს აღმოსავლეთიდან გოდერძის უღელტეხილზე მოადგა წითელი არმიის ნაწილები დ. ჟლობას მეთაურობით. ქიაზიმ-ბეი შეეცადა მათ შეჩერებას, მან ჟლობასთან თავისი წარმომადგენლები გაგზავნა. თურქები იყენებდნენ დეზინფორმაციის საშუალებებს. კერძოდ: ბათუმში რუსებს ხაფანგს უმზადებენ, ბათუმში ბოლშევიკებთან საბრძოლველად მზადაა ინგლის-საფრანგეთის ჯარი სამხედრო ფლოტთან ერთად, ასევე თითქოს 16 მარტის ხელშკრულებით ბათუმი ოსმალეთს ერგო და ამიტომ თურქეთის ჯარი აჭარაში დგას და ა. შ. როდესაც ხმებმა ჟლობას შტაბამდე მიაღწია წითელი არმია გოდერძის უღელტეხილთან შეჩერდა. იმავე დროს გასათვალისწინებელია, რომ დიდთოვლობა იყო. „ასეა თუ ისე, ჟლობამ წინსვლა შეაჩერა და სერგო ორჯონიკიძესრევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს აცნობა,რომ დიდითოვლისგამოჯერჯერობითწინვერ წაიწიეს. სერგო ორჯონიკიძემ მაშინვე აპარატთან მოიხმო ცხენოსანთა არმიის სამხედრო კომისარი, რომელსაც უბრძანა ბრძანების შეუსრულებლობისათვის დაეპატიმრებინა ჟლობა და პირადად გაძღოლოდა არმიას წინ, ბათუმისაკენ.ეს ბრძანება ჟლობამაც მოისმინა. დაშინებული თითონ წაუძღვა არმიას და უღელტეხილიც წარმატებით გადალახა“. ოსმალები ორ ცეცხლში ჩავარდნენ. ისინი ფაქტიურად დამარცხდნენ.ტყვედ ჩავარდა 218 ასკერი. საღამოს დროებითი ზავი დაიდო, 24 საათით. თურქები მყისიერად შეეცადნენ ლაზი გლეხებისაგან ჩამოეყალიბებიათ შეიარაღებული რაზმი და გამოეყენებიათ ის თავიანთ სასარგებლოდ. ამის საშიშროება კი ნამდვილად იყო, რადგან იმდროს „ლაზ გლეხთა ნაწილი მართლაც წამოეგო თურქი პროპაგანდისტების ანკესს და დეზინფორმაციის წყალობით მართლაც უჭერდა მხარს თურქეთს“. თუმცა, აქედან არაფერი გამოვიდა და ლაზებმა ბრძოლაში არ მიიღეს მონაწილეობა.

წითელი XI არმიის საკავალერიო დივიზიის მეთაური დ. ჟლობა 19 მარტს ს. ორჯონიკიძეს წერდა: „ჩვენი სამხედრო ნაწილები ბათუმში შევიდნენ 1921 წ. 18 მარტს 17 საათსა და 18 წუთზე. ქედასთან და აჭარისწყალთან მიახლოებისას... ჩვენ გვხვდებოდნენ თავზარდაცემული ქემალისტები.ზოგი მათგანი დაჭრილი იყო...გამოირკვა რომ საქართველოს ჯარის იმ ნაწილებს,რომელთაც საბჭოთა მთავრობა ეცნოთ, გაენადგურებიათ ოსმალები, რომლებიც ცდილობდნენ ქალაქის ხელში ჩაგდებას“.

მიუხედავად უიმედო მდგომარეობისა თურქებმა ბოლო ძალ-ღონე მოიკრიბეს და 19 მარტს დილით შეტევაზე გადმოვიდნენ. გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართა კახაბრის ფორტთან. იქ თავი გამოიჩინეს ქართველმა არტილერისტებმა მაიორი პ. ქარუმიძის ხელმძღვანელობით. ასკერთა შეტევა წარმატებით იქნა მოგერიებული. გენერალი მაზნიაშვილის

მოგონებების მიხედვით, იმ დღეს ოსმალებს მოუვიდათ დიდი ზარალი. კახაბრის ახლოს ღელეები სავსე იყო მოკლულ ასკერთა გვამებით (მაზნიაშვილი, 1990: 207).

სამდღიანი (1719 მარტის) ბრძოლების შედეგად ქართულმა არმიამ,რომელსაც ზურგს ზურგს უმაგრებდა წითელი არმია, ბათუმსა და მის მიდამოებში მოიპოვა გა მარჯვება თურქთაშეიარაღებულძალებზე. მაგრამასკერთანაშთებსჯერკიდევ ეკავათ ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფისა და მილიციის სამმართველოების შენობები. ქართული მხარისათვის მათი დაკავება პრობლემას აღარწარმოადგენდა.ბრძოლისაგანდაუძლურებულ ასკერებსსამი დღეარაფერი ეჭამათ. 20 მარტს დილით 9 საათზექიაზიმბეის წარმომადგენელი მივიდა გ. მაზნიაშვილთან და აცნობა, რომ გადაწყვეტილი აქვთ ბათუმის დატოვება. მან ასკერებისთვის ითხოვა სამი დღის საგზალი პური. გ. მაზნიაშვილმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა. მალე, 12 საათისთვის ბათუმი თავისუფალი იყო თურქი ჯარისკაცებისაგან.

ბათუმისათვის ბრძოლისას დაიღუპა დადაიჭრა ასობით თურქი სამხედრო, ხოლო ექვსასამდე ტყვედ ჩავარდა.ქართველთა ხელში აღმოჩნდა მოწინააღმდეგის შეიარაღება. რაც შეეხება ქართულ მხარეს, ბრძოლაში დაიღუპა 84 მეომარი.

ბრძოლების დამთავრებისთანავე, 20 მარტს ბათუმში ჩამოვიდა გასაბჭოებული საქართველოსსაზღვაოდასამხედროსაქმეთასახალხოკომისა რიშალვა ელიავა.მან ბრძანა დაღუპული ქართველი მეომრები დიდი ზეიმით დაეკრძალათაზიზიეს (შემ დეგ ლენინის, ეხლა თავისუფლების მოედანზე). შესაბამისი ცერემონია გაიმართა 23 მარტს, მასში მონაწილეობდნენ როგორც სამხედროები, ისე სამოქალაქო საზოგადოება. 84 დაღუპულიდან აღნიშნულ მოედანზე დაკრძალეს 43. დანარჩენები თავიანთმა ახლობლებმა წაიყვანეს მიწას მისაბარებლად.

მეთოდი

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ობიექტურობის, ყოველმხრივობის და სისტემურობის უნივერსალური მეცნიერული პრინციპები, ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდები.

შედეგები

ნაშრომში შესწავლილია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა, რომელმაც გადაწყვიტა საქართველოს უძველესი დაერთ-ერთი გამორჩეული კუთხის აჭარის საკითხი.ნაჩვენებია, რომ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ძირითადი ტერიტორიის ოკუპაციის მიუხედავად ბათუმი და მთლიანად აჭარა ქართველი პატრიოტი ჯარისკაცებისა და მოსახლეობის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად საქართველოს შემადგენლობაში დარჩა. 1921 წ. მარტის სამხედრო - პოლიტიკურმა მოვლენებმა კარგად აჩვენა აჭარის მოსახლეობის ეროვნულ - პოლიტიკური აზროვნების სიმწიფე, რამაც უმნიშვნელოვანესი რეგიონი აჭარა საქართველოს შეუნარჩუნა. მართალია აჭარაში დამყარდა საბჭოთა

რეჟიმი, რაც საქართველოს ოკუპაციის დასრულებას და ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას მოასწავებდა, მაგრამ ამ ტრაგიკული მოვლენის პარალელურად ძალზე მნიშვნელოვანი და ეროვნული მნიშვნელობის ფაქტი იყო აჭარის საქართველოს იურისდიქციაში დარჩენა.

მსჯელობა და დასკვნები

102 წელი გავიდა ქალაქის გათავისუფლებისათვის გამართული ბრძოლებიდან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს ნოე ჟორდანიას და რევკომის თავმჯდომარეს სერგო ქავთარაძეს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, 1921 წლის 17 მარტიდან გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა (1873-1937 წ.წ.) საქართველოს არმიის გაფანტულ ჯარისკაცებს და ოფიცრებს კვლავ მოუყარა თავი და მათგან, ადგილობრივ მოხალისეებთან ერთად, შექმნა სამხედრო ქვედანაყოფი, რომელმაც რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ, ბათუმი გაათავისუფლა უცხოელი დამპყრობლებისგან.

საერთაშორსო იზოლაციაში მოქცეულმა საქართველოს მთავრობამ უნიათობა გამოიჩინა, თითქმის უბრძოლველად დატოვა თბილისი, უკან დაიხია ბათუმისაკენ და ბოლო თავდაცვითი ხაზი მდ. რიონზე მოაწყო.

უმწეო მდგომარეობაში მყოფმა საქართველოს მთავრობამ დაუშვა სხვა საბედისწერო შეცდომაც, როდესაც ენდო ანგორის (თურქეთი) მთავრობის წინადადებას ბოლშევიკების შემოსევისაგან თურქეთის ჯარების დახმარებით ბათუმის ერთობლივად დაცვის თაობაზე. მალე ბათუმის მიდამოებში თავი მოიყარა 3500-ზე მეტმა ასკერმა პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის მეთაურობით (თოიძე, 2009: 39).

ამ დროს ბათუმში 3 ათასამდე საქართველოს ჯარისკაცი იყო, თუმცა საერთო დაბნეულობა მათაც გადაედო. ასეთ ვითარებაში გააქტიურდნენ თურქები. 16 მარტს ბათუმის ქუჩებში გამოჩნდა მათი პატრული. მათ თანდათან დაიკავეს ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფი, მილიციის შენობა, ყაზარმები, რადიოსადგური. დაიწყეს აგრეთვე, ბათუმის სიმაგრეების (ფორტების) დაკავება.იმავე საღამოს ქიაზიმ ბეიმ თავი გამოაცხადა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად და გამოაქვეყნა ბრძანება #1, რომლითაც ეს მხარე თურქეთს უნდა მიერთებოდა.

საქართველოს მთავრობისათვის აშკარა გახდა, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლანობას საფრთხე შეექმნა. ამიტომ ნოე ჟორდანიამ არჩია ბოლშევიკებთან შეთანხმება მათი ჯარების ბათუმში გადმოყვანის დასაჩქარებლად, რათა არ დაეშვა აჭარის დაკარგვა. ამ მიზნით მან ბათუმიდან თავისი მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე მოავლინა ქუთაისში საქართველოს ბოლშევიკურ რევკომთან მოსალაპარაკებლად, ხოლო საჯავახოში ცარიელი ეშელონები გაგზავნა. ბათუმის საპყრობილედან ბოლშევიკებიც გაათავისუფლა სერგო ქავთარაძის ხელმძღვანელობით, რათა მათ გამოეცხადებიათ საბჭოთა ხელისუფლება და აღეკვეთათ ქიაზიმ ბეის ავანტიურა.

საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკების გამო (ის დასრულდა 16 მარტს "ძმობის და მეგობრობის" ხელშეკრულებით), ბოლშევიკების სარდლობა აჭიანურებდა აჭარაში ჯარების შემოყვანას. მდგომარეობა უკიდურესობამდე დაიძაბა. ბათუმ-

აჭარის მომავალი სასწორზე იდო. ამ დროს შესაშური პატრიოტიზმი და თავდადება გამოიჩინეს საქართველოს უკვე დამარცხებული და დაშლილი არმიის ჯარსკაცებმა და ოფიცრებმა, ბათუმელმა მოქალაქეებმა. მათ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, სახელდახელოდ შეადგინეს სამხედრო შტაბი და რაზმები. ბათუმის გამაგრებული რაიონი გაიყო ორ მებრძოლ უბნად: კახაბრისა და ბარცხანის ფორტები დაექვემდებარა გენერალ ვარდენ წულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი `სტეფანოვკისა~ და ანარიის ფორტებით - გენერალ დათა ართმელაძეს. (გენ. სურათები).

18 მარტს, დილით, გენერალმა მაზნიაშვილმა ქიაზიმ ბეის გაუგზავნა ულტიმატუმი, რომ ერთი საათის განმავლობაში დაეცალა დაკავებული სიმაგრეები, დაწესებულებები და დაეწყო თავისი ჯარის გაყვანა. ულტიმატუმის დრო უპასუხოდ ამოიწურა. ქართული ჯარი შეტევაზე გადავიდა. იმავე დღეს გაათავისუფლეს ბათუმის შემოგარენის სიმაგრეები. მძიმე ბრძოლები იყო ბარცხანისა და კახაბრის ფორტებისთვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბარცხანის სიმაგრეს, რომელიც აკონტროლებდა ბათუმში შემომავალ რკინიგზას. ამიტომ თურქები მას გააფთრებით იცავდნენ. ქართველებმა იერიშით აიღეს ეს სიმაგრე. გაანადგურეს მოწინააღმდეგის მთელი გარნიზონი, დაატყვევეს 200-ზე მეტი ასკერი.

19 მარტს, თურქებმა დილიდანვე მიიტანეს იერიში კახაბრის ფორტზე. მისი დაკავების შემთხვევაში, მათ შეეძლოთ დაუბრკოლებლად მიეღოთ დამხმარე ძალები სამშობლოდან და განემტკიცებინათ ქალაქ ბათუმში მყოფი მათი ნაწილების მდგომარეობა, მოწინააღმდეგის კონტრშეტევა უშედეგოდ დამთავრდა და მან დიდი ზარალით დაიხია უკან. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი არტილერისტებმა მაიორ პ. ქარუმიძის მეთაურობით. საგრძნობი იყო ქართველთა დანარკაგიც. ამიტომ გენერალ მაზნიაშვილის მითითებით ბათუმის მცხოვრებთა შორის მოაგროვეს ადრე არტილერიაში ნამსახურევი ოცი მოხალისე და მაიორ ქარუმიძის რაზმში ჩარიცხეს.

ქართველთა წარმატება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ დამარცხებით თავზარდაცემულ ასკერებს თურმე არც კი სჯეროდა, რომ ასეთი მძიმე დარტყმა მათ მიაყენა ბოლშევიკებთან ომწაგებული საქართველოს ჯარმა. საბჭოთა ჯარის მეთაურის დ.ჟლობას ცნობით: `აჭარისწყლიდან დაწყებული ბათუმამდე მთელ გზაზე ერთმანეთს მისდევდნენ დაჭრილი ასკერები, რომლებიც ყველას ეუბნებოდნენ, რომ ქართველებს მოუვიდათ ფრანგების და ინგლისელების მაშველი ძალები. რომ უცხოელების კრეისერები ყუმბარებს უშენდნენ ფორტებს და ამიტომ ოსმალები ძალიან დაზარალდნენ.~

ამრიგად, 18-19 მარტის ბრძოლებით ბათუმის შემოგარენი მთლიანად გაიწმინდა მოწინააღმდეგის ჯარისაგან. მხოლოდ ქალაქის მილიციის და ფოსტის შენობაში იყო გამაგრებული მათი ნარჩენები. მათზე იერიში გ. მაზნიაშვილს 20 მარტს დილით ჰქონდა გადაწყვეტილი. შექმნილ ვითარებაში ქიაზიმ-ბეიც იძულებული გახდა, ეღიარებინა მის მიერ ორგანიზებული ავანტიურის ჩაშლა და თავისი ჯარის ნარჩენებით აჭარა დატოვა (სიორიძე, 2011:172-175).

გენერალი მაზნიაშვილი იგონებს, რომ `დაღუპული გმირების რიცხვი 84 კაცამდე ადიოდა''. სამხედრო კომისარმა ბრძანა დაემარხათ ისინი აზიზიეს მოედნაზე დიდი ზეიმით, რაც მეორე დღეს სისრულეში იქნა მოყვანილი... დავმარხეთ მხოლოდ 44 მოკლული, რადგან დანაჩრენები მათმა მშობლებმა გადაასვენეს თავიანთ სოფლებში (მაზნიაშვილი, 1990: 44).

ამ მოედანზე ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ აღმართა მონუმენტი, რომელსაც ამშვენებდა ხუთქიმიანი ვარსკვლავი და წარწერა, რომ აქ განისვენებენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის დაღუპული მებრძოლები. მალე აქ ლენინის ძეგლიც აღმართეს და ეს ადგილი კომუნისტური ღდესასწაულების არენად გადააქციეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ვითომდა ერთ მოედანზე ორი მონუმენტი მიუღებლად მიიჩნიეს და ობელისკი ამჟამინდელი ილიას ძეგლის ადგილას გადაიტანეს, საძმო საფლავზე ასფალტი დააგეს და იქ ავტომანქანები დაჯირითობდნენ. სურდათ, საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სინამდვილე დავიწყებას მისცემოდა, მაგრამ მოსახლეობის ხსოვნიდან იგი ვერ ამოშალეს.

ამ წმინდა ადგილის შესახებ ჭეშმარიტების ცოდნას ძველი ბათუმელები მომდევნო თაობებს გადასცემდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა: 1990 წლის 8 მაისს საქართველოს სახალხო ფრონტის ბათუმის ორგანიზაციამ ქალაქის საბჭოს აღმასკომს, საძმო საფლავზე გათხრების ჩატარების თხოვნით მიმართა. ამ თხოვნას ქალაქის და ოლქის ზოგიერთი მესვეურის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ 9 აპრილის შემდეგ აზვირთებულმა ტალღებმა თავისი გაიტანა. ხელისუფლება იძულებული გახდა დათანხმებოდა თხოვნას. უფრო მეტიც, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში მეცნიერებთან, მწერლებთან და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად, შევიდნენ სახელმწიფო მოხელეებიც. კომისია 23 კაცით განისაზღვრა. მკითხველს ვთავაზობ ამ სიას ალფაბეტის დაცვით: ბერიძე ნუგზარი, გაბაშვილი გიორგი, გოგიტიძე რევაზი, დიასამიძე ავთანდილი, დიასამიძე თამაზი, დუმბაძე გურამი, ერქომაიშვილი გიორგი, თანდილავა ზურაბი, კვაჭაძე სოსო, მამულაძე შოთა, მამუჭაძე მუზაფერი, (კომისიის თავმჯდომარე), ოქროპირიძე უჩა, რამიშვილი გიორგი, სიორიძე მალხაზ, (კომისიის მდივანი), სურგულაძე აბელი, სურმანიძე რამაზი, ქათამაძე ჯემალი, ჩავლეიშვილი ირაკლი, ჩიგოგიძე გიზო, ხახუტაიშვილი დავითი, ჯაველიძე ანზორი, ჯალაღანია თამაზი, ჯაფარიძე ნუგზარი.

იმავე წლის 19 მაისს არექოლოგების აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილისა და ირაკლი ჩავლეიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო გათხრები და საკვლევ-საძიებო სამუშაოები. მესამე დღეს აღმოჩნდა ოთხი დაღუპულის ნეშტი, რაც სამუშაოს გაგრძელების და მოსახლეობის დაინტერესების ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა. მოედანზე მოდიოდნენ ბრძოლების მომსწრე და თვითმხილველი ადამიანები, რომლებიც იძლეოდნენ ძვირფას ინფორმაციებს. გათხრები 28 მაისამდე გაგრძელდა.

ენთუზიასტებმა აქ მწყობრად დამარხული 50 ნეშტი აღმოაჩინეს. როგორც ზემოთ ვთქვით, გენერალი მაზიაშვილი 44-ს მიუთითებს. თუმცა დამარხვის წესის, ჩონჩხზე შემორჩენილი ცეცხლსასროლი იარაღით

მიყენებული ტრავმების, თან ჩაყოლილი იარაღის, ქამრის ბალთების და სხვა ნივთების გულდასმით შესწავლით დადგინდა, რომ დაღუპულ მებრძოლთა რიცხვი 6-ით მეტი იყო.

საგანგებოდ გამზადებული 50 კუბო, რომლებშიც ჩაასვენეს დაღუპული გმირები, სახელმწიფო თეატრის ვესტიბულში გადაიტანეს. 2 ივნისს ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის დეკანოზმა მამა დავითმა (შიოლაშვილი, ბათუმისა და ლაზეთის ამჟამინდელი მიტროპოლიტი დიმიტრი) და მამა გიორგიმ (ძნელაძე) გადაიხადეს პანაშვიდი. გმირთა ხსოვნის დღედ გამოცხადდა 23 მარტი.

3 ივნისს სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირები კვლავ ძველ განსასვენებელს მიაბარეს. დაკრძალვას ათიათასობით ბათუმელი და ქალაქის მრავალი სტუმარი დაესწრო.

დაღუპულთა ვინაობის დადგენა დაევალა კომისიის მდივანს, აწ განსვენებულ პროფესორ მალხაზ სიორიძეს, რომელმაც ამ საქმეს დიდი ძალა და ენერგია მოახმარა. დასაწყისში ცნობილი იყო მხოლოდ 14 დაღუპულის გვარი. რამდენიმე წლის გულმოდგინე კვლევა-ძირების შემდეგ, მეცნიერმა საზოგადოებას მიაწოდა 27 ბათუმში დაკრძალულის და 17 თავიანთ მშობლიურ ადგილებში გადასვენებულის ვინაობა. მკითხველს ვთავაზობთ ამ სიას. ჩვენი აზრით, ეს აუცილებელიცაა, რადგანაც ზოგიერთების სადაურობა უცნობია. ზოგის კი მხოლოდ გვარებია ცნობილი.

ბათუმში დაკრძალულები:

1. აკობია პეტრე
2. ანჩაბაძე გრიგოლი
3. ბალიშვილი ილარიონი
4. ბიჭიკაშვილი ივანე (ვანო) შოთას ძე, კასპიდან
5. გვარამია აკაკი, სტუდენტი
6. ემხვარი ტატაში
7. ვადაჭკორია შოთა, პრივატ-დოცენტი
8. ზარანდია კუკური, სტუდენტი
9. ზუხბაია პეტრე
10. კვიცირიძე თომა ონისიმეს ძე, დაბ. 1902 წ. წყალტუბოს რ-ნი, სოფ. ოფუჩხეთში
11. კოროშინაძე დიომიდე არსენის ძე, დაბ. 1896 წ. ჩოხატაურის რ-ნი, სოფ. ნაბეღლავში, მოხალისე
12. კუკულაძე სოკრატე ივანეს ძე, დაბ. 1896 წ. ლანჩხუთის რ-ნ, სოფ. ჩიბათი
13. მაჩხელიანი ამბარცუმ, შავშეთიდან ლტოლვილი, მანთაშევის ქარხნის მუშა
14. მეტრეველი ვლადიმერი (ლადო), სტუდენტი
15. მინჯია სანდრო
16. მიქელაძე (თვლიდნენ, რომ ეს იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და გიორგი მაზნიაშვილის თანამებრძოლი ოსმან მიქელაძე, მაგრამ იგი მაშინ დაღუპვას გადაურჩა, თუმცა 1937 წელს, თავისი მეთაურის მსგავსად, ბათუმში დახვრიტეს). ეს მიქელაძე კი სხვა პიროვნება უნდა იყოს.

17. მუსხელიშვილი

18. ჟორჟოლიანი სერგო ივანე ძე, დაბ. 1901 წ. წყალტუბოს რ-ნ, სოფ. მაღლაკში

19. სეფისკვერაძე, არტილერისტი

20. ურუშაძე იაკინთე, სილიბისტროს ძე, დაბ. 1899 წ. ოზურგეთის რ-ნ, სოფ. თხინვალში

21. ქირია ერასტო

22. ყანჩაველი მაყვალა, მოწყალების და

23. ჩიკვაიძე დიმიტრი (მიტო), სტუდენტი

24. ჩაჩიბაია გიორგი დავითის ძე, მარტვილის რ-ნ, სოფ. კიწია

25. ცომაია გიორგი (სამეგრელო)

24. წურწუმია სიმონ

25. ჯინჭარაძე სიმონ ეგნატეს ძე, დაბ. 1896 წ. ჩოხატაურის რ-ნ, სოფ. ნაბეღლავში, მოხალისე.

სამშობლოში გადასვენებულები:

1. ასათიანი ალი ხასანის ძე, დაბ. 1889 წ. ბათუმის მაზრის სოფ. ორთაბათუმში, გადაასვენა და აქვე დაკრძალა ნათლიამ, ხაფიზ სურმანიძემ

2. ბოლქვაძე, დაკრძალეს გურიაში

3. ბოცვაძე, დაკრძალეს გურიაში

4. გეგუჩაიძე, დაკრძალეს გურიაში

5. დოლიძე მანასე ლადიკოს ძე, დაკრძალეს ოზურგეთის რაიონის სოფ. ასკანაში

6. ესაძე კონსტანტინე

7. იამანიძე

8. იობიძე

9. კვაჭაძე გერმანე, დაკრძალეს ლანჩხუთის რ-ნ, სოფ. ჭინათში

10. ლორია ანთიმოზი ირაკლის ძე, დაკრძალეს სამტრედიის რნ, სოფ. ტოლებში

11. ლორია, დაკრძალეს გურიაში

12. სულავა, ოფიცერი

13. ტურაბელიძე შალვა, დაკრძალეს ქუთაისში (დიდი ქართველი მსახიობის აკაკი ვასაძის ცნობა)

14. ქარქაშიძე, ზეომ იმერელი, დაკრძალეს იმერეთში (აკაკი ვასაძის ცნობა)

15. შანიძე, დაკრძალეს გურიაში

16. ძნელაძე, დაკრძალეს გურიაში

17. წულაძე ნიკოლოზი ვინიალეს ძე, დაკრძალეს ლანჩხუთის რ-ნ, სოფ. ქვიანში

ბათუმში დაკრძალულთა ვინაობის დასაზუსტებლად, როგორც ითქვა, დიდი მუშაობა ჩაატარა პროფესორმა მალხაზ სიორიძემ, ხოლო მისი მოულოდნელი გარდაცვალების (2011 წლის 4 ივნისი) შემდეგ, სხვა მეცნიერებმა განაგრძეს კვლევა-ძიება. იმის გამო, რომ 1921 წლის მარტის მოვლენების მონაწილეთა შესახებ ცნობები არქივებში თითქმის აღარ

აღმოჩნდა, ძირითადი ინფორმაცია თვითმხილველთა და ხანდაზმულთა ზეპირი ინფორმაციებიდან უნდა ყოფილიყო მიღებული, რამაც შედეგი ნაწილობრივ გამოიღო.

პოეტმა მამია ვარშანიძემ ისაუბრა თავის ნაცნობზე, 1909 წელს დაბადებულ ფარმაცევტ კლარა ქორიძეზე, რომელიც ლანჩხუთის რაიონის სოფლებში ნიგოითსა და ქვიანში თავად ესწრებოდა ბათუმში დაღუპული მებრძოლების ნეშტის გადასვენებას (ვარშანიძე, 2016).

რაც შეეხება ხულოს რაიონის სოფელ ღურტის მცხოვრებს, 1895 წელს დაბადებულ ალი გელაძეს, რომელიც იმ დროს 26 წლისა იყო და თავადაც მონაწილეობდა ამ მოვლენებში, მისი თქმით, ოსმალეთის ხელისუფლებას აჭარაში მობილიზცია გამოუცხადებია, მაგრამ მოსახლეობამ ამაზე უარი თქვა. რასაც რეპრესიები მოჰყვა. მცხოვრებთა დევნა-შევიწროება იმდენად აუტანელი გამხდარა, რომ ხალხი ტყეებში გახიზნულა და ახალგაზრდობისგან შეუქმნია პარტიზანული რაზმი, რომელსაც იმხანად დაუსახავს სოფლებში არ შემოეშვა არც ოსმალეთისა და არც რუსეთის ჯარები. ამას ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ მე-11 არმიის გაძლიერებულ მოწოლას ვერ გაუძლეს და მომხდურებმა, საქართველოსთან ერთად მისი ბოლო ფორპოსტის, მთლიანი აჭარის ანექსიაც შეძლეს. ამის შემდეგ პარტიზანული რაზმი დაიშალა, ზოგი მონაწილე საზღვარგარეთ გაიქცა, ზოგიც ბედს შეურიგდა და მოძალადეს მორჩილება გამოუცხადა. ჯერჯერობით დადგინდა 8 პიროვნების ვინაობა. ესენია არიან:

ბერიძე შერიფი ოსმანის ძე, დაბ. 1887 წ. ზემო აჭარის სოფ. მოფრინეთში, 1921 წლის მარტში იბრძოდა ბათუმში, დიდხანს მასაც დაღუპულად თვლიდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ გადარჩა, 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს მიემხრო, შემდეგ ბათუმს განერიდა, სტამბოლში ჩავიდა და იქ შეუერთდა ჟორდანიას მომხრეებს. სიცოცხლის ბოლომდე (გარდ. 1971 წ.) ცხოვრობდა პარიზში. დაკრძალულია ლევილში.

თხილაიშვილი აბდული, დაბ. ქობულეთში, დაიღუპა ბათუმში, სავარუდოდ, გადაასვენეს ქობულეთში (საბუთს მიაკვლია პროფ. ოთარ გოგოლიშვილმა)

ირემაძე, დაბ. სოფ. ღორჯომში (ცნობა მოგვაწოდა ალი გელაძემ). დაკრძალულია ბათუმში, აქვე უნდა იყოს დაკრძალული ლეო კერესელიძის ლეგიონის ოფიცერი სულეიმან ირემაძე, რომელიც ბათუმში დაიღუპა. იგი ქობულეთელია. ამგვარად, ბათუმში დაკრძალული უნდა იყოს ორი ირემაძე.

Nნარსია აკაკი სტეფანეს ძე ბათუმიდან გადაასვენეს და დაკრძალეს ლანჩხუთის რ-ნ, სოფ. ნიგოითში (ცნობა მოგვაწოდა კლარა ქორიძემ)

ფირცხალაიშვილი სარდიონინესტორის ძე, ბათუმიდან გადაასვენეს და დაკრაძალეს ლანჩხუთისრ-ნ, სოფ, ნიგოითში (ცნობა მოგვაწოდა კლარა ქორიძემ)

ქიქავა ახმედი, დაიღუპა ბათუმში, აქედან გადაასვენეს და დაკრძალეს (ვარაუდით) სოფ. ორთაბათუმში (პროფ. ოთარ გოგოლიშვილის ცნობა).

შაინიძე, ხულოს რაიონის სოფ. კორტოხიდან. დაკრძალულია ბათუმში (ალი გელაძის ცნობა)

კვლევა-ძიება გრძელდება, ველოდებით გამოხმაურებებს.

ამგვარად, ბათუმში დაკრძალულთა და ვინაობის გარკვეულ პირთა რიცხვი 30-მდე გაიზარდა, ხოლო აქედან გადასვენებულთა რაოდენობა 21-ს უდრის.

როგორც დავინახეთ, ბათუმის ცენტრალურ მოედანზე დაკრძალული არიან სხვადსხვა ეროვნებისა (ქართველი, სომეხი, აფხაზი) და აღმსარებლობის ადამიანები. ეს ადგილი ჭეშმარიტი ძმათა ნეკროპოლია. ბათუმის და ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან შეძლო მისი გადარჩენა ხელისუფლების ძალადობის და კერძო პიროვნებების მიტაცებისგან და რომ იგი წმინდა ადგილად და სალოცავ სავანედ იქცა.

ბათუმის 1921 წლის მარტის ბატალიები ისტორიაში უნდა შევიდეს, როგორც სამშობლოს ერთიანობის და განსაცდელში მყოფი ქალაქის დაცვისთვის სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის და რწმენის მქონე გმირთა თავგანწირული ბრძოლის მაგალითი.

დასკვნა

ამრიგად, ქართულმა ჯარმა ბათუმისა და მისი შემოგარენის გათავისუფლება მოახერხა 1921 წ. 17 - 18 - 19 მარტის ბრძოლების შედეგად, მიუხედავად ამისა ოსმალების ხელში იყო ფოსტა-ტელეგრაფისა და ქალაქის მილიციის სამმართველოს შენობები. დასახელებული პუნქტების ოკუპანტებისაგან დახსნის გეგმა ქართულმა არმიამ შეიმუშავა 20 მარტისათვის, მაგრამ ოსმალებს ბრძოლის გაგრძელების ძალა აღარ შესწევდათ. სწორედ ამიტომ მათ მიიღეს ქალაქის დაცლის გადაწყვეტილება. გ. მაზნიაშვილი მოგვითხრობს, რომ 20 მარტს დილით 9 საათისათვის მას ეახლა ოსმალეთის გარნიზონის მდივანი, რომელმაც აცნობა ქიქზიმ-ბეის გადაწყვეტილება ქალაქის დაცლისა და ჭოროხის ხეობაში გადასვლის თაობაზე. ოსმალეთის ჯარი იმდენად დასუსტებული იყო, რომ მათ არ შეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება, რადგან მათ არ ჰქონდათ საკვები პროდუქტები და ჯარი პრაქტიკულად შიმშილობდა, რადგან მათ სამი დღე არაფერი ჰქონდათ ნაჭამი. ამ ფაქტს ადასტურებს ის ცნობა, რომ ქიაზიმ-ბეის წარგზავნილმა გარნიზონის მდივანმა გ.მაზნიაშვილს ერთი დღის სამყოფი პური სთხოვა, რათა ჯარი გამოეკვებათ. გ. მაზნიაშვილმა გარნიზონის მდივანს აღნიშნული თხოვნა შეუსრულა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

mazniashvili, g. (1990). *mogonebebi.* batumi. (მაზნიაშვილი, გ. (1990). მოგონებები. ბათუმი.).

toidze, l. (2009). brdzola batumisatvis. 1921 tslis marti. tbilisi. (თოიძე, ლ. (2009). ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი. თბილისი.).

sioridze, m. (2011). sadzmo saplavi batumshi. *brdzola batumistvis. 1921 ts. 18-20 marti.*

(სიორიძე, მ. (2011). საძმო საფლავი ბათუმში. *ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წ. 18-20 მარტი.*თბილისი.).

varshanidze, m. (2016). klara qorizis shesakheb. gazeti *,,ajara".* № 32.22-23 marti. (ვარშანიძე, მ. (2016). კლარა ქორიძის შესახებ. გაზეთი *,,აჭარა".*№32. 22-23 მარტი.).